

ცნობიერების ადგილი კონსტანტინე მეგრელიძის აზრის
სოციალურ ფენომენოლოგიაში

ლილე ლოლიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი ელენე ლადარია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლილე ლოლიშვილი

29.06.22

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში გამოვიკვლევ იმას, თუ რა ადგილი აქვს ცნობიერებას კონსტანტინე მეგრელიძის აზრის სოციალურ ფენომენოლოგიაში. კვლევისას ძირითადად დავყვდნობი კონსტანტინე მეგრელიძის წიგნს *აზრის სოციალური ფენომენოლოგია*.

ნაშრომი სამ ნაწილად იქნება დაყოფილი. პირველი ნაწილი მეგრელიძის კვლევის მეთოდზე საუბარს დაეთმობა, რომელიც ნატურალისტური თვალსაზრისის უარყოფითა და ისტორიულობის პრინციპის გამოკვეთით ფუძნდება. აქვე ყურადღებას გავამახვილებ ჩენისა და არსის საკითხზე. მეგრელიძეზე, როგორც ფილოსოფოსზე რომელიც ორად გახლეჩილ სინამდვილეს უპირისპირდება. ნაშრომის პირველ ნაწილს დავასრულებ პროცესის ფილოსოფიის იმ მახასიათებლების გამოკვეთით, რომელთანაც გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს მეგრელიძის თეორიული მიდგომა. მეორე ნაწილში უშუალოდ ცნობიერების თეორიის განხილვაზე გადავალ. განსაკუთრებულ ყურადღებას შრომასა და ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული მთლიანობის რღვევის აღწერას დავუთმობ. დასასრულს, აზროვნების სოციალურად განსაზღვრულობას ვაჩვენებ და აღქმასა და შეგრძნებაზე ვისაუბრებ.

Abstract

In the following inquiry I will attempt to figure out, as to what place consciousness play in Konstantin Megrelidze's thought. The research will be based on Konstantin Megrelidze's book *Problems of the Sociology of Thought*. The work will be divided into 3 segments. The first segment will deal with Megrelidze's method of research, which is based on a rejection of the naturalist standpoint and an emphasis on historicity. Here also, we will be inquiring into the topics of appearance and essence. Presenting Megrelidze as a philosopher who opposes a split reality. Will finish the first segment by defining the characteristics of process philosophy, which shares familiarity and similarity with Megrelidze's theoretic approach. In the second segment I will discuss the theory of consciousness and concept of work. I will take special care to describe the split between man and nature. In the end, i will show the social determinism of thinking and talk about perception and experience.